ანგარიში

საქართველოს პარლამენტის საქართველო-ხორვატიის მეგობრობის ჯგუფის ვიზიტის შესახებ ხორვატიაში

2017 წლის 31 მაისი-2 ივნისი

ხორვატია, ზაგრები

1 ივნისს, საქართველო- ხორვატიის მეგობრობის ჯგუფმა, თამარ ხულორდავას ხელმძღვანელობით, სხვადახვა მაღალი დონის შეხვედრა გამართა ხორვატიელ კოლეგებთან.

ვიზიტი ხორვატია-საქართველოს საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფებს შორის თანამშრომლობის ფორმატში ხორვატიის პარლამენტის მიწვევით შედგა.ვიზიტში მონაწილეობდნენ ხორვატიის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, თამარ ხულორდავა, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ბექა ნაცვლიშვილი და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წევრი, ალექსანდრე ქანთარია.

შეხვედრები შედგა ხორვატიის პარლამენტის ვიცესპიკერთან, მილიან ბრკიჩთან, ევროპის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, დომაგოი ივან მილოშევიჩთან, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან, მირო კოვაჩთან, საქართველოსთან საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელთან - ნენად სტაზიჩთან ,საგარეო და ევროპის საკითხებში მინისტრის მოადგილესთან - ზრინკა უევიჩთან, რეგიონული განვითარების და ევროპის ფონდების მინისტრის მოადგილესთან - ანა ოდაკთან . დელეგაციის წევრებს შეხვედრები ჰქონდათ ასევე ქალაქ ვარაჟდინის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სადაც ისაუბრეს ევროპული ინტეგრაციის კონკრეტულ შედეგებზე სხვადასხვა მიმართულებით.

შეხვედრაზე მხარეებმა ყურადღება საპარლამენტო თანამშრომლობის გარდა ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით ხორვატიის გამოცდილების გაზიარებაზე გაამახვილეს. ხორვატიას, რომელიც სულ ბოლოს, 2013 წელს გახდა ევროკავშირის წევრი აქვს უახლესი და საქართველოსთვის მეტად აქტუალური გამოცდილება ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით. საქართველოს დელეგაციისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო, როგორც გაწევრიანებასთან დაკავშირებული ტექნიკური, ისე პოლიტიკური პროცესები და მათი წარმართვის გამოცდილება. ყურადღება გამახვილდა სამართლებრივი ჰარმონიზაციის პროცესზე, გაწევრიანების პროცესში ხელისუფლების ორგანოების კოორდინაციაზე, მოსახლეობის მოლოდინების მართვაზე, კომუნიკაციაზე, წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური წრეების და უფრო ფართოდ, მოსახლეობის პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვების აუცილებლობაზე, გასატარებელ რეფორმებზე და მათი განხორციელების კომპლექსურობაზე და ხორვატიელი ექსპერტების გუნდის მიერ გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობაზე ქართველი პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეებისთვის.

თამარ ხულორდავამ ხორვატიელ კოლეგებს საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტები გააცნო. მიმოიხილა განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები და აღნიშნა, რომ სწრაფი დემოკრატიული კონსოლიდაცია ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების საბოლოო მიზანს ემსახურება. თამარ ხულორდავამ ასევე აღნიშნა, რომ საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ლიდერობს განხორციელებული რეფორმებით, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია სწორედ ამის შედეგია. მან ყურადღება გაამახვილა თითოეულ წევრ სახელმწიფოში და მათ შორის ხორვატიაში საქართველოს თაობაზე ცნობადობის ამაღლების საჭიროებაზე და ხალხთა შორის ურთიერთობების ხელშწყობაზე.

მხარეები შეეხნენ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების საკითხებსაც. ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ ჯერ ვერ ხერხდება იმ სიკეთეების სრულად ათვისება, რაც თან ახლავს ამ შეთანხმებას, მაგრამ საქართველოს მთავრობა ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს ეკონომიკის ყველა შესაბამისი დარგის გასავითარებლად.

ხორვატიელი კოლეგები დაინტერესდნენ მოსახლეობის განწყობებით ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის პროცესებისადმი. თამარ ხულორდავამ ისუაბრა ბოლო კვლევების შედეგებზე და აღნიშნა, რომ მოქალაქეებს აქვთ პოზიტიური განწყობა ევროპული ინტეგრაციისადმი.

საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ მადლობა გადაუხადა ხორვატ კოლეგებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერისთვის, ხაზი გაუსვა ხორვატიის მხარდაჭერის აუცილებლობას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში და ხორვატიის პარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფი საქართველოში მოიწვია.

ანგარიში მოამზადა მერი კირვალიძემ

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწემ